საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მთიულასებრნი

მთიულასებრნი (Fringillidae), ფრინველთა ოჯახი ბეღურასნაირთა რიგისა. ოჯახი მოიცავს 212 სახეობას. მ. ფართოდ არიან გავრცელებული აფრიკაში (კ. მადაგასკარის გარდა), ევრაზიაში (კ. ახალი გვინეის გარდა), ამერიკაში. მათი სხეულის სიგრძეა 9,5_25,5 *სმ.*, მასა - 8-86 გ. მრავალი მათგანი კარგი მგალობელია.

საქართველოში ბუდობისას გვხვდება 17 სახეობა, მათგან 12 მუდმივი ბინადარია (სკვინჩა, ქათქათა მთიულა, კულუმბური, მწვანულა, ჩიტბატონა, ჭივჭავი, მთის ჭვინტა, მეკანაფია, ნაძვის ნისკარტმარწუხა, სტვენია, თავწითელა მთიულა - მეჟოლია, დიდი კოჭობა), ორი მხოლოდ ბუდობს (ჩვეულებრივი კოჭობა და ფრთაწითელი მეოსპია), ორი ზამთრობს (მთიულა და ჩვეულებრივი ჭვინტა), ერთი იშვიათი შემომფრენია (ევროპული იადონი). მონოგამებია. ბუდობენ წყვილებად. იცავენ ე. წ. საბუდარ ტერიტორიას. დებენ 2-6, იშვიათად 8 კვერცხს, კრუხობა გრძელდება 10-14 დღ-ღ. იკვებებიან სარეველებისა და კულტ. მცენარეთა თესლით, კენკრით, ბუდობისას - მწერებითაც. ბუდობის დასრულების შემდეგ უმეტესწილად იკრიბებიან გუნდებად. დიდი კოჭობა დაცულია საქართვ. კანონმდებლობით.

ა. ბუხნიკაშვილი